

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 9 დეკემბრის სხდომის

ოქმი #10

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 9 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი გ.ბრეგვაძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის შესახებ;
2. გადაუდებელი პროგრამული ცვლილებების დამტკიცება;
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ თ.ჭელიძეს. მან საბჭოს წევრებს სთხოვა დაეზუსტებინათ 2025 წლის ანკეტა-კითხვარის კვოტები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების მიხედვით, ასევე კომპეტენციის ზღვრები ჩასაბარებელ საგნებში. ამის შემდეგ სათითაოდ მოხდა ცალკეული საბაკალავრო პროგრამის განხილვა და კვოტების დაზუსტება (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ი.ჩიკვაძემ, ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბაკალავრიატის 2025 წლის ანკეტა-კითხვარის წარმოდგენილი სახით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2025 წლის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - გადაუდებელი პროგრამული ცვლილებების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინა მხოლოდ ის ცვლილებები, რომლებიც სასწრაფოდ ითხოვს განხორციელებას. კერძოდ, სადოქტორო ჩარჩო დოკუმენტის (განახლებული) დამტკიცება, რომელიც მოითხოვს პროგრამაზე მიღების წინაპირობების ცვლილებას; ცვლილებები აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც ასახული უნდა იყოს სამწლიან ანგარიშებში, და ცვლილება მსჯავრდებული სტუდენტის შეფასების სისტემაში (იხ. დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების დამტკიცების საკითხი (იხ. დანართი 2).

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს პროგრამული ცვლილებები წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორ ვ.ტრაპაიძეს. მან საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა ორი საკითხი:

- ა) გენეტიკის ს/კ ინსტიტუტში ადამიანის გენეტიკისა და ეკოლოგიური გენეტიკის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის მიღების შესახებ;
- ბ) ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის თემების დამტკიცების შესახებ;

ა) ბ-მა ვაჟამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხი გენეტიკის ს/კ ინსტიტუტში ადამიანის გენეტიკისა და ეკოლოგიური გენეტიკის განყოფილებაში შორენა შარიას მიღების შესახებ უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე, გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. თ.ლეჟავას განცხადების საფუძველზე (იხ. დანართი 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გენეტიკის ს/კ ინსტიტუტში ადამიანის გენეტიკისა და ეკოლოგიური გენეტიკის განყოფილებაში შორენა შარიას მიღების შესახებ უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე, ანაზღაურების გარეშე.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზსმ ფაკულტეტმა შუამდგომლობით მიმართოს თსუ ადმინისტრაციას გენეტიკის ს/კ ინსტიტუტში ადამიანის გენეტიკისა და ეკოლოგიური გენეტიკის განყოფილებაში შორენა შარიას მიღების თაობაზე უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე, ანაზღაურების გარეშე.

ბ) ბ-მა ვაჟამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ფიზიკის სადისერტაციო დარგობრივი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე (იხ. დანართი 3, კომისიის სხდომის ოქმი) მიღებული საკითხი ზსმფ დოქტორანტურის "ფიზიკის" პროგრამის 2023 წლის მიღების დოქტორანტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სამეცნიერო თემების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 4).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის თემების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის თემები:

1. დოქტორანტ **თინათინ ცისკარიძის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოც. პროფ. მერაბ გოგბერაშვილი, ხოლო სამეცნიერო თემად - „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კოსმოლოგიური ასპექტები“;
2. დოქტორანტ **გოგა სუქნიძის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოც. პროფ. მერაბ გოგბერაშვილი, ხოლო სამეცნიერო თემად - „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კოსმოლოგიური ასპექტები“;
3. დოქტორანტ **ვალერი კიკვაძის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს, ასოც. პროფ. რევაზ შანიძე, ხოლო სამეცნიერო თემად - „ნეიტრონის თვისებების და ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე მაღალი ენერჯის პროცესების შესწავლა KM3NeT ნეიტრონული ტელესკოპის საშუალებით“;
4. დოქტორანტ **ელენე სარალიძის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფ. ნანა შათაშვილი, ხოლო სამეცნიერო თემად - „დიდ-მასშტაბიანი ველების და რეგულარული სტრუქტურების ფორმირება ასტროფიზიკურ გარემოებში“ კომბინაციაში „ვარსკვლავთა ატმოსფეროების მრავალმასშტაბიან დინამიკასთან“;
5. დოქტორანტ **ანა კურტანიძის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფ. ალექსანდრე შენგელაია, ხოლო სამეცნიერო თემად - „მაღალტემპერატურული ზეგამტარობა“;
6. დოქტორანტ **გიორგი თაყაძის** სამეცნიერო ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ ასოც. პროფ. ოლეგ ხარშილაძე და ასოც. პროფ. რევაზ შანიძე, ხოლო სამეცნიერო თემად - „კოჰერენტული სტრუქტურების და ტურბულენტობის რიცხვითი მოდელირება და სიგნალების ანალიზი რადიოფიზიკის მეთოდებით“;
7. დოქტორანტ **დიმიტრი ამილახვარის** სამეცნიერო ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ ასოც. პროფ. ოლეგ ხარშილაძე და თეიმურაზ დავითაშვილი, ხოლო სამეცნიერო თემად - „გეოფიზიკური ამოცანების მოდელირება“;
8. დოქტორანტ **დავით სეზუას** სამეცნიერო ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ პროფ. თამაზ მმინარაშვილი და ალექსანდრე ღონლაძე, ხოლო სამეცნიერო თემად დამტკიცდეს „ბიოპოლიმერების (დნმ, ცილები). მათი კომპლექსების, ბაქტერიოფაგების სივრცული სტრუქტურის ფიზიკური მეთოდებით კვლევა“; უფრო კონკრეტულად მისი ნაშრომის ამოცანად განისაზღვროს „თავ-ვისრის ავთვისებიანი სიმსივნეების რადიაციული თერაპიის დაგეგმარების ტექნიკების დოზიმეტრიული შედარება“.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

